



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 711

10/04/2018

ქალაქი ბათუმი

711-05-4-201804101636



ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-სათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „ექსკავატორი“ MST-544 სახელმწიფო ნომერი BA605L-ის თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 04 აპრილის №957-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურს“ თხოვების ფორმით გადაეცეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „ექსკავატორი“ MST-544 სახელმწიფო ნომერი BA605L, რომლის საწყისი ღირებულება შეადგენს 197970 (ასოთხმოცდაჩვიდმეტიათასცხრასასამოცდაათი) ლარს, ხოლო ნარჩენი ღირებულება 83395 (ოთხმოცდასამიათას სამასოთხმოცდათხუთმეტი) ლარს.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ განყოფილებას (გ. ბერიძეს) მიენიჭოს უფლებამოსილება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გააფორმოს ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“-თან თხოვების ხელშეკრულება, ხოლო მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებამ (ა. ბაჟაშვილი) უზრუნველყოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

3. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს (ტ. ნაკაშიძე) აღნიშნული ქონების მიმართ საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოება.

4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა